ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 220

"20" მაისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №1-ში არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.062.018) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „საჩინოსთვის" (ს/ნ. 204380776) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №1-ში არსებული 25 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.062.018) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „საჩინოსთვის" (ს/ნ 204380776) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 7 მაისის №25.730.815 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №1-ში არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.062.018), პირდაპირი განკარგვის წესით შპს „საჩინოსთვის" (ს/ნ. 204380776) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს განთავსების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7 500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე